საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №21
2014 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 43-ე მუხლისა და 49^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ, 175, 08.12.2008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. III თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III. ელექტროენერგიის გატარებისა და განაწილების ტარიფები.“

2. დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გატარების ტარიფები

1. სს „თელასის“ მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა) კვალიფიციური საწარმოებისათვის (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას” გარდა):

ა.ა)	35-110 კილოვოლტი	–	1,275 თეთრი/კვტსთ
ა.ბ)	6-10 კილოვოლტი	–	2,590 თეთრი/კვტსთ;
ა.გ)	220/380 ვოლტი	–	3,600 თეთრი/კვტსთ;

ბ) სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის”:

ბ.ა)	35-110 კილოვოლტი	–	0,206 თეთრი/კვტსთ;
ბ.ბ)	6-10 კილოვოლტი	–	0,580 თეთრი/კვტსთ;
ბ.გ)	220/380 ვოლტი	–	1,320 თეთრი/კვტსთ.

2. სს „ენერგო–პრო ჯორჯიას" მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი	–	6,837	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	–	2,064	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	–	1,542	თეთრი/კვტსთ;

3. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ საცალო მომხმარებლებისათვის გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები განისაზღვროს ამ დადგენილებით განსაზღვრული ელექტროენერგიის განაწილების ტარიფების დონეზე.".

3.დადგენილების 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

ა)	220/380 ვოლტი	–	6,837	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	–	2,064	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	–	1,542	თეთრი/კვტსთ.".

4. დადგენილების 11^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11^1 . სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) – 13,491 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი – 8,718 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი – 8,196 თეთრი/კვტსთ.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით – 7,630 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით – 11,000 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი – 14,830 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**მაია ნადირაძე**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**